

ხელშეკრულება №-----
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

----- 2020 წელი

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის *მირიან ქათამაძის* სახით და მეორეს მხრივ, [REDACTED] (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი [REDACTED] სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT-----) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვა. (CPV კოდი- 45111300 - დემონტაჟის სამუშაოები).
- 2.2 სამუშაოს ზუსტი დასახელება, სრული აღწერილობა და ღირებულება განსაზღვრულია დანართი N1 (ფასების ცხრილით)-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- ბ) სამუშაოს დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია: შეასრულოს სამუშაო სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების „8.1“ პუნქტში.

4.5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.
- ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.
- გ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- დ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე.
- ე) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
- ვ) დემონტაჟის სამუშაოს შესრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

- 5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
- 5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 5.3 ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია არ განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების გარკვეული ნაწილი და აქედან გამომდინარე გაწეული სამუშაოს მთლიანმა ღირებულებამ არ შეადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შესაბამისად შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული სამუშაოს ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი სამუშაოს მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.
- 5.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირება)

- 6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განხორციელებს -----.
- 6.2. კონტროლი (ინსპექტირება) გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირებას.
- 6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1. სამუშაოს დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს;
- 7.2. სამუშაო დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან;

7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შესრულებული სამუშაოს აქტები და შემსყიდველის მხრიდან არ იქნება გამოვლენილი ხარვეზები.

8. სამუშაოს მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები:

8.1. სამუშაოები უნდა შესრულდეს შემსყიდველის დავალების შესაბამისად, ეტაპობრივად, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე. მიმწოდებელს შეტყობინების სახით მიეთითება კონკრეტული ობიექტი, რომლის დემონტაჟიც უნდა განხორციელდეს.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან (ტელეფონი, ფაქსი და ა.შ), სამუშაოების სრულყოფილად შესრულების მიზნით მოახდინოს საჭირო ტექნიკური საშუალებების და ბრიგადების მობილიზება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას. შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავალდებულოა დემონტაჟის უსაფრთხოების წესების დაცვით მოთხოვნილი სამუშაოს სრულყოფილი შესრულება. სამუშაოების წარმოების დროს სავალდებულოა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ზედამხედველობის განხორციელების პროცესში გამოთქმული იმ მოთხოვნის შესრულება, რაც დაკავშირებულია სამუშაოების ეფექტურობასთან, ოპერატიულობასთან და სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვასთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების 0,1%-ს ოდენობით;

9.2. ხელშეკრულების ერთ – ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, მათ შორის თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს. ასეთ შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით;

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არ ანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და წყვეტს მოქმედებას 20-- წლის -----

14. „შემსყიდველი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი“-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

14.2 „შემსყიდველი“-ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

14.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

15. „მიმწოდებელი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი“-ს მისამართი:-----

15.2 „მიმწოდებელი“-ს საბანკო რეკვიზიტები: -----, ბ/კ -----, ა/ა -----
-----,

15.3 საიდენტიფიკაციო კოდი -----;

15.4 „მიმწოდებელი“- -----